რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თვითონ „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისათვის:
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., წვრილის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.
თუ სტატიებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" დარჩება შაური.

## სამღვდელოთ ეპარქიალური კრება ტფილისში

პირველი კრება 23 ნოემბერს.

დღეს ტფილისის სასულიერო სემინარიის დარბაზში გაიხსნა კრება საქართველოს ეპარქიის სამღვდელოთ. შეიკრიბნენ სულ 41 მღვდელი. ბევრი ლაპარაკი არ ყოფილა თავმჯდომარის ამორჩევაზედ: ერთ-ხმად ამორჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზედ დეკანოზი გ. ხელიძე. ამის შემდეგ იწყეს ლაპარაკი გუნდ-გუნდად დაყოფილმა მღვდლებმა. აქა-იქ მოისმოდა სურვილი: ეთხოვნათ ამორჩევითი უფლების დაბრუნება, გადაეწყვიტათ ბერძნული ენის ექსორია ყოფა და მის მაგიერ სამშობლო ენის და გალობის დაფუძნება, საეკკლესიო ქონებათა შემოსავლის ცნობაში მოყვანა, ლაპარაკობდნენ ქალების ეპარქიალური სასწავლებლის შესახებაც. პა-[illegible]ლები ერთობით თხოულობდნენ წმ. ნინოს ბოდბის მონასტერში მოსამზადებელი კლასსების გადატანას, ქართლელები—ტფილისშივე დატოვებას, მესამე გუნდი ითხოვდა ნორმალური კლასსების ტფილისში დარჩენას და მოსამზადებელი კლასსების გახსნას—მცხეთაში და წმ. ნინოს მონასტერში (ბოდბეში).

ამ გვარ ბაასში იყვნენ მეორე საათის ნახევრამდე, როდესაც მობრძანდა ყოვლად-უსამღვდელოესი პავლე. სამღვდელოთ იგალობეს „მეუფეო ზეცათაო"—და რა გაათავეს, სალამი მიართვეს. ამის შემდეგ ჯავის ბლაღოჩინმა მამა გ. დ—მა წარმოსთქვა მოკლე მიგებებითი სიტყვა, რომელშიაც მოკლედ მოახსენა, რომ დიდი იმედები გვაქვსო, ბევრს რამეს ველით თქვენგანაო და სხვ. ყოვლად-უსამღვდელოესმა პავლემ მადლობა უთხრა სამღვდელოებას ამისთანა გრძნობით დახვედრისათვის და შემდეგ თვით მიმართა სამღვდელოებას სიტყვით, რომლის შინაარსი დაახლოვებით იყო შემდეგი: მე მესმის ყოველი თქვენი ტკივილიო, ბრძანა ყოვლად-უსამღვდელომ; მე ახალი შუამდგომლობის გაწევა არ შემიძლიან, რადგან იგი უკვე დაწყობილია კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მმართებელთან და უწმიდეს სინოდში, პირველმა მიანდო რამდენიმე თავის ჩინოვნიკს სამღვდელოთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა. იქონიეთ რწმენა, რომ ჩემზედ დამოკიდებული ყოველი ძალ-ღონე მიქცეული იქმნება თქვენის ყოფა-ცხოვრების განკარგებისათვის...

მე მოგიწვიეთ თქვენ საქართველოს სამღვდელოთა წარმომადგენელნიო, რომ ერთად მოვილაპარაკოთ სასულიერო სასწავლებელთა მდგომარეობის განკარგებაზედ. უწინარეს საჭიროა, მაგ სასწავლებელთა სადგომების მოპოვება. სემინარიის სადგომი, შუა ქალაქშია და ბევრ ნაირად აბრკოლებს სწავლის საქმეს; სასულიერო სასწავლებელს ხომ სრულიად არა აქვს საკუთარი სახლი. მე განვიზრახეო, ეგ სადგომი იჯარით გაიცეს; სხვა ფულიც ვისესხოთ უწმიდესი სინოდისაგან და აშენდეს ახალი სადგომები—სემინარიისათვისა და ოთხ-კლასსიანი სასწავლებლისთვისა ქალაქს გარეთ... ეპარქიალური ქალების სასწავლებელში საჭიროა გავხსნათ მესამე ნორმალური კლასი, სამივე კლასსი ორ-ორ წლიური კურსით. აწინდელი სადგომი არ კმარა. ჩემის ფიქრით ან ეგ შენობა უნდა გადიდდეს და ამისთვის ნახოთ ფულები; ან მცხეთაში გადატანილ იქმნენ მოსამზადებელი კლასსები... მე გავიგე კერძოდ, რომ ამორჩევითი უფლების დაბრუნება გსურსთ; ამ საგანზედ იწერებოდნენ ადგილობრივ გაზეთებშიაც. ეგ ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა და უსარგებლოა, რადგან ეგ უფლება მთელ რუსეთში და ბესსარაბიაში მოსპობილია და მისი დაბრუნებისა იმედი აღარავის უნდა აოცნებდეს... თქვენ სასწავლებლებით მდიდარნი არა ხართ და რაც გაქვსთ, ისინიც ერთობ უშურველ მდგომარეობაში არიან; სხვაგან ეგრე არ არის: მაგ. ბესსარაბიაში მე დავტოვე ეპარქიალური ქალების სასწავლებელი ოთხას ხუთმეტი მოსწავლე ქალით და ყოვლისფრით გამართული, იქ სასწავლებლის სადგომი სასახლეს ჰგავს და ხუთასამდე მოსწავლე ქალს დაიტევს... აქ კი არც სემინარიის სადგომი, არც ეპარქიალური ქალების სასწავლებლისა არ ვარგანან; სასულიერო სასწავლებლისთვის საძაგელი სახლია დაქირავებული დიდ ფასად (2,500 მან. წელიწ.). ყოველ ამას, იმედი მაქვს, ყურადღებას მიაქცევთ და კარგად განსჯით. მთხოვთ, სახეში იქონიოთ მხოლოდ სასწავლებელთა განკარგება; სხვა საგნებზედ ლაპარაკისათვის ცალკე თავსმჯდომარე აირჩიეთ და იმის პირით მაცნობებდეთ ხოლმე თქვენს გადაწყვეტილებას. მთხოვთ, თელავის, ტფილისის და გორის ოლქის სამღვდელოთ, ცალკ-ცალკე იქონიოთ სჯა სასულიერო სასწავლებელთა განკარგებისათვის და თავ-თავისი თავსმჯდომარე აირჩიოთ და დასამტკიცებლად მე წარმომიდგინდეთო.

მე გავიგეო, განაგრძო ყოვლად-უსამღვდელომ, თქვენი სურვილი, სამრევლოს პურით გადასახადი ფულზედ შეიცვალოს. ეგ კარგია, მაგრამ ამასთან უნდა იცოდეთ სიმძიმე მაგ სურვილის შედეგისა: გლეხს პური ყოველთვის აქვს, ფული კი არა; პური შეიძლება თან-და-თან გაძვირდეს და რასაც დღეს ფულს გადასჭრით, იქნება იმაზე ერთი-ორად და სამად იმატოს თქვენი მოსაცემი პურის ფასმა. მაშინ სინანულს ეხლა სჯობს კარგად ფიქრი, თორემ მერმე გვიანღა იქნება.

დასასრულ, იმედი მაქვს, ყოველ სალაპარაკო საგანს კარგად და ჩემი წინადადების თანახმად განსაზღვრავთო.

თქვენი კრების ყველა სალაპარაკო საგნებსა წარმომიდგენდეთ თავსმჯდომარის ხელით დასამტკიცებლად და მოელოდეთ ჩემგან ყველასფერში დახმარებასო.

ამით დაათავა ყოვლად-უსამღვდელომ სიტყვა და დალოცა კრება შემდეგის მოქმედებისათვის. კრებამ იგა-

---

„დროების" ფელეტონი, 25 ნოემბერ.

## გორის მაზრის სამღვდელოებათა კრება *)

„სმა, ჭამა დიდად შესარგი,
დება რა სავარგულია,
რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია."

რუსთაველი.

დიდად ვსწუხვარ, რომ მინდება ლაპარაკი იმისთანა საგანზე, იმისთანა საქმეზე, რომელიც ყველასათვის ცხადია და არ ითხოვს დამტკიცებას და ბევრს ლაპარიკს, მაგრამ, რას იზამ, რომ გვახვევია გარს ისეთი ხალხი, რომელთაც ჯერეთაც არ გაუგიათ ანბანური ჭეშმარიტებანი, თუმცა კი [illegible] პირნი, ის ყოვლად უგუნურნი, ხალხის მოთაურებად არიან დაყენებულნი. როცა კაცს კუჭი გაუხდია [illegible]ერთად, სულ იმაზე ფიქრობს, იმას სხვა საგნებისთვის არა სცალიან; არაფერი კეთილი აზრი არ გაივლის იმის თავში; სხვის წუხილი და შეჭირვებული მდგომარეობა იმათ თამაშად და მღერად მიაჩნიათ; ამ შემთხვევაში ისინი ბევრით დაბლა სდგანან ლუარსაბ თათქარიძეზე. ეს გულ-კეთილი მაინც იყო, ბოროტება არ შეეძლო! ეს სიკეთეც არა აქვთ ზოგიერთებს.

ამ ნოემბრის 17-ს იყო კრება გორის სამასწავლებლო მაზრის სამღვდელოთა სხვა-და-სხვა საჭიროებებზე. შეიყარნენ მამანი, ჩვენ სასულიერო სემინარიაში კურს შესრულებულები; ყველა მოელოდა ამათგან სვინდისიანად საქმის გარჩევას, ეგონათ ყველას, რომ ახალ-გაზდა, მამანი შეიყარნენ და დროს მიხედვით ყველა საჭიროებას სასწავლებლისას ნათლის თვალით შეხედვენო.

გორის სასულიერო სასწავლებელს აქვს ორი მოსამზადებელი კლასი; უფროს კლასში ერის მასწავლებელს ჰყავს 35 მოსწავლე და კვირაში 24 გაკვეთილი, ესე იგი ყოველ დღე ოთხ-ოთხი გაკვეთილი; ამ შრომისთვის იმას აძლევენ წელიწადში 600 მ. უმცროს მოსამზადებელ კლასშია 42 მოსწავლე, კვირაში 21 გაკვეთილია; მასწავლებელს ეძლევა 500 მ. წელიწადში. ამას გარდა, თვითო კლასში, როგორც უფროსში, ისე უმცროსში, ორ-ორი განყოფილება აქვთ თვითო მასწავლებელს; წარმოიდგინეთ რა შრომა უნდა ჰქონდეთ საცოდავ მასწავლებლებს! შრომა და ჯაფა უსაზომო და ჯილდო კი არა შესაფერი. უწინ ზემოხსენებული ჯამაგირით შეიძლებოდა მეფურად ეცხოვრნა კაცს, ახლა კი, გაზვიადებული არ იქნება ეს თქმა, მაგ ჯამაგირებით ველარ სცხოვრობენ, ბევრჯელ მასწავლებელი მთელ კვირაში უფულოდ ზის, ბევრჯელ ცარიელ პურზე ალამ-ათენებს საბრალო მასწავლებელი; ხშირად ეგეც არა აქვს; აი მე, ამ სტრიქონების დამწერი თვით მასწავლებელი ვარ; ხშირად მიწვნევია გაჭირვება სიღარიბის გამო; ხშირად დამილამებია მშიერი, რადგან არა მქონია საჭმელი; ხშირად შემხვედრია ამხანაგი—მასწავლებელი მჯდარი ულუკმაპუროდ და ერთი შაური, ერთი შაური უნატრია პურისათვის.—სად ხარჯვენ ჯამაგირებსაო?—იქნება იკითხონ ჩვენებურმა მღვდლებმა, ან იქნება ჰგონიათ, რომ მეფურად ვცხოვრებდეთ, როგორც ერთზე სთქვა ერთმა მღვდელმა—დეპუტატმა. არავისთვის საინტერესო არ არის დაწვრილებით მოვიყვანო, თუ რამდენს იღებენ სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელნი, მაგრამ, რადგან მე სახეში მყავან გორის მაზრის სამღვდელონი, რომელთაც, როგორც,—არა ერთხელ დაუმტკიცებიათ და ეხლა სულ გადაამტკიცეს,—უბრალო, ანბანური ჭეშმარიტებანი არ ესმისთ, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო ციფრები დასამტკიცებლად იმისა, თუ სად მიდის ჩვენი ჯამაგირები:

თორმეტ გაკვეთილზე გვაძლევენ

*) სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ეს სტატია ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც ავტორისგან იყო დაწერილი.

ლობა „ღირს არს ჭეშმარიტად“ და გამოესალმა.

ამით დაიშალა დღევ კრება. სამღვდელონი წავიდ-წამოვიდნენ.

შემდეგ კრებებზე უფრო საგულისხმო, უსაჭიროესს საგნებზე ექმნება სჯა სამღვდელოებას: ქართული ენის კათედრის დაფუძნება და გალობის მკვიდრ საფუძველზედ დამყარება.

შემდეგი კრება გადაიდვა მეორე დღის დილის 9 საათამდე.

## დღიური

რუსულ გაზეთებში სწერია რომ ფინანსთა მინისტრს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში პროექტი კავკასიის აქეთა და იქითა მხარეში გაძლიერდეს თვალ-დევნა დამოჭნაზე და სამზღვრებზე ამ საქმისათვის ჩაყენებულ ჯარის რიცხვის შემატებით და ახალის საკარანტინო-დამოჭნების გამრავლებით ოსმალეთისა და სპარსეთის მხრით.

* * *

როგორც ამ დღეებში მოსულის ცნობიდანა სჩანს 22 ამ თვეს მოსულ წვიმას გაუქრია, ტყეებს რომ ცეცხლი ეკიდებოდა დუშეთისა და თელავის მაზრებში, მხოლოდ კერძო ნაფარეულის აგარაში კიდე იწვისო. ტყეში.

* * *

გუშინას წინ საღამოს ერთ მაღაზიის წინ მდივნის შენობისა შეგროვილიყო აუარებელი ხალხი. ამათი ყურადღება მიეზიდა გამოჩენილ ამერიკელ მოგზაურს ჩარლზ ფელპსს თავის ცოლით, რომელნიც მაღაზიაში ვაჭრობდნენ რაღაცას. ამავე საღამოს ამათ ადევნებოდნენ რამდენიმე უქმად მოწანწალე ქალაქის ბიჭები ერთის ხარხარით და ხრიალით. ყველა ეს ვნახეთ და მეტად გაგვიკვირდა. რა კითხვაა, რომ ეს თავ-აღებული გროვა იმიტომ მისდევდა ამ მოგზაურთ, რომ ცოლს, ფელპსისას თითქმის კაცურად ეცვა, და ჩვენს ხალხს ხამად ეჩვენა საზოგადოდ მათი ქცევა. დაბრუნდებიან ეს მოგზაურნი თავიანთ ქვეყანაში და, ვინ იცის, ჩვენც მიგვადარონ მცხოვრებთ იმ ველური ქვეყნებისა, რომელნიც ამათ შემოუვლიათ და ეხლა ჩვენი ქვეყნის დასახედავადაც მოსულან.

* * *

სწორედ იმ გვარივე ამბავი მოგვივიდა ჩვენ ს. ქავთი-ხევიდან (ქართლშია), როგორც ამ წინაზე მოხდა ს. ხარაგეულში (შორაპნის მაზრისა). ერთ უადგილო მღვდელს ქორწინებით შეუერთებია 12 წლის ქალი 30 ვაჟთან. ეს მეორე შემთხვევაა ამ ცოტას ხანში ამ გვარის უკანონო შეუღლებისა.

* * *

„პეტერბურგის უწყებანი“ გვაცნობებენ, რომ მმართებლობისგან ყურადღებად მიღებულ იქმნა კავკასიის მილიციის ახელოვანი ბრძოლა სხვა ჯარებთან ერთად გასულ ოსმალეთთან ომის დროს და განზრახვაა, რომ მათაც მიენიჭოსთ ის უპირატესობა, რომელიც დღემდის ჰქონია რუსის მეომართ ამათზე, ეს მილიციაც არ იყოს დღეიდან მოკლებული იმ უფლებას, რომელიც სხვა რუსის მეომართ აქვთ, ე. ი. ომში დაჭრილ მილიციონერთ მიეცესთ შემწეობა ხაზინისაგან და მოკლულის ოჯახობას საქალაქო და სოფლის საზოგადოებისაგან და ერობისაგან.

* * *

ხვალ, ხუთშაბათს, ქალაქის რჩევის ზალაში დანიშნულია მეორე კრება ქართული მეცნიერული ტერმინების შესამუშავებლად.

ჩვენ დავესწარით პირველ კრებაზედ ამ საგნის შესახებ გასულ შაბათ და უნდა გამოვტყდეთ ვერაფერი საკეთილო შთაბეჭდილება გამოგვყვა მაინცადამაინც. გვგონია, რომ ამ გვარად საქმის წაყვანამ, ამ მართლა არა ადვილ საქმისა, დიდი ნაყოფი ვერ გამოიღოს. სრულებით თანახმა ვართ იმ აზრისა, რომელიც აკაკიმ წარმოსთქვა ამ კრებაზედ: დაინიშნოს რამდენიმე კამისია და ამათგან გადაიხედოს ძველად შედგენილი სახელმძღვანელონი, სადაც შეიძლება ბევრი ისეთი ტერმინები აღმოჩნდეს, რომლების ნაცვლად ჩვენ ეხლა სულ სხვა არ მოსახდენი სიტყვები, ტერმინები შევამუშავოთო და სხვ. მაგრამ ამ საქმის ინიციატორების აზრით, ამ გვარად ეს საქმე დაიგვიანებსო და ტერმინების საჭიროება-კი არ გვაძლევს ლოდინის ნებასაო... და როგორც „სიჩქარით საქმე გაკეთდება“, ეს დავინახეთ ამ წინა კრებაზედ, როდესაც ერთი ტერმინის შემუშავებაზედ თითქმის ერთი საათი გავიდა. ყველა თავისას ამბობდა...

* * *

შორაპნიდან მოგვივიდა შემდეგი შენიშვნა იმ ამბავზედ, რომელიც ჩვენი გაზეთის ერთ წინა ნომერში იყო დაბეჭდილი:

„ეხლა ექიმიო, გწერდნენ შორაპნიდან, კარგი გვყავს, სოფელში დაიარება, ხშირად დაყავსთ საექიმოდაო. სჩანს, ხალხი გამოდის თან-და-თან უმეცრებიდამ: ისე აღარ ეშინიათ ექიმის, როგორც აქნობამდისო.“

ეს სიტყვები, სწორედ ბატონი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის სიტყვებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ შორაპნის უეზდში ცოტა სკოლააო მიტომ, რომ ხალხი იქ ველურიაო... ნეტავი როდის გყავდა ხეირიანი ექიმი, რომ ხალხმა არ მიიწვია? რომელმა მათგანმა იცოდა რამე ექიმობისა?

ჩვენ მუდამ თავის საქმის უცოდინარ და ადგილ დაკარგულ ექიმებს გვიგზავნიდნენ. ეს ახალი ექიმი რას იზამს, ჯერედ კაცმა არ იცის. ექიმს დღემდინაც თხოულობდნენ სოფლებში და ეხლაც, თუკი რასმე არგებსთ. ხშირად მცხოვრებლებს ექიმები მოჰყავდათ ქუთაისიდამ, თუმცა მაზრის ექიმი კი იყო იქ...

## ბიბლიოგრაფია *

ძველად ჩვენი სამღვდელოება სწავლობდა სამშობლო ეკკლესიის ისტორიას იმ ხელთ-ნაწერთაგან რომელნიც დაშთენილ იყვნენ წინაპართაგან.

დაიწყო თუ არა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება, მაშინვე იწყეს წერა ეკკლესიის ისტორიისა. აბიათარ მღვდელმა, დედოფალმა სალომე უჯარმელმა და ჰეროჲ არვისავნელმა დასწერეს ისტორია ქართისა, წმიდა ნინოს ცხოვრება, მისი მოქმედება, სიკვდილი, ეკკლესიათა და ჯვართა აღმართისა და სხვანი. ამის შემდეგ უწერიათ ქართველთ წმიდანების ცხოვრება დროითი დროზე მღვდლებს, ბერებს და მღვდელ-მთავრებს. მაგალითად, წმიდა გობრონის ანუ მიხეილის ცხოვრება დაწერა მე-IX საუკუნის დამლევს აშოტ ერისთავის ბრძანებით ტბეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა სტეფანემ; დედოფლის შუშანიკის ცხოვრება აღწერა მისმა მოძღვარმა მღვდელმა იაკობმა; ცხოვრება იოანე ზედა-ზნელისა, დავით გარეჯელისა, შიო მღვიმელისა, აბიბო ნეკრესელისა, დავით და კოსტანტინე არგვეთელთა დაწერა მე-X საუკუნის ნახევარში არსენი კათალიკოზმა; ცხოვრება მეფისა არჩილ მოწამისა დაწერა მისმა ნათესავმა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, წამება ქეთევან დედოფლისა მისმა შვილმა თეიმურაზ I-მა. ამ სახით სხვა-და-სხვა დროს ყველა წმიდანების ცხოვრება ჰქონიათ ქართველებს დაწერილი; მაგრამ ყველანი ერთ წიგნად არ ყოფილან გამოცემული. ისინი ყოფილან ცალკ-ცალკე

*) იხ. „დროება“, № 245.

---

420 მ. წელიწადში; ამას ზემოდ თვითო გაკვეთილზე წელიწადში გვეძლევა 20 მ. პოვარ-ლაქიის ჯამაგირია რაღა! პასტრიულ-ების მწმენდელებსაც კი აქვთ ამოდენი ჯამაგირი! 12 გაკვეთილზე მეტი აქვთ ზოგ-ზოგს და წელიწადში იღებენ 600 მ. ამ 600 მ. სულ სამი მასწავლებელი იღებს მთელ გორის სასწავლებელში. ავილოთ, რომ ყველანი იღებენ 600 მ. ახლა რაო?... სახლები ისე ძვირია, რომ უბრალო ოთახში თუმან ნაკლებ არ დაგვაყენებენ. თუ სახლობიანი ხარ 15 მ. უნდა მისცე; თვეში ჩაი, შაქარი ხორაგეულობა—სულ უკანასკნელი მოგინდება 25 მ. დარჩა 15 მ. ამ ხუთმეტი მანეთით ჩაიცვა დაიხურო, ცოლ-შვილი გამოიყვანო, შავი დღისთვის შეინახო, დრო გამოშვებითი პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთი გამოიწერო, თუ რა ქნათ?!... ხშირად გაივლის ზამთარი, რომ კალოში ვერავინ ვიყიდოთ უფულობისაგამო. წაღას იყიდი, ქუდი აღარა გხურავს, ქუდს იყიდი, შარვალში მუხლის თავი ამოგიყვია; ცარიელა სერთუკებში, საზაფხულო პალტოებში, ისიც დაგლეჯილებში, მთელი ზამთარი დაიარებით; დილით კლასს უნდა მიეპატრონო და შენ საყასბოში, ან ბაზარში გარბიხარ ხორაგეულისთვის. ამისთანა შეჭირვებაში მყოფმა, მუდამ შიმშილ-წყურვილი მოლოდინზე მაფიქრებელმა, რა უნდა ჰქნას? რა უნდა ჰქნას მასწავლებელმა, როდესაც გაკვეთილს ხსნის და მასთანავე ნაღვლით იგონებს, რომ ცოლშვილი შინ დღეს უსადილოდ უცდიან!! რა ჰქნას იმ მასწავლებელმა, რომელიც იღებს თვეში 34 მანეთს?

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი. აგე არ არის სხვა საქართველოს სასწავლებლებში, როგორც ვიცით მაგ. იმერეთში. იქ სამღვდელოება, რომელიც დღემდე არც ჯამაგირს იღებს, რომელთაც სამრევლოდგან დიდი შესავალი არა აქვთ, სცხოვრობენ ბევრად ნაკლებად ქართლ-კახეთის სამღვდელოებაზე, —ვიმეორებ იმერეთის სამღვდელოება თავის ჯიბიდამ ყველა მასწავლებელს აძლევს რამდენსამე თუმანს, რადგან იცის რომ პატიოსან შრომას ჯილდო უნდა, რომ დაჯილდოვებულ შრომას ნაყოფიერი შედეგები აქვს.

გორის მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებმა დავიდოვმა ხახუტოვმა სთხოვეს კრებას ჯამაგირის მომატება, თვითომ 150 მან. გორის სამასწავლებლო მაზრა ვრცელია; ოცდა-ათი თუმანი რომ გაეყოთ მთელ სამღვდელოებაზე, თითო მღვდელს ეკკლესიით, მთელი კრებულით შეხვდებოდა სულ 30 კაპ. ეს მცირედი შესაწირავიც კი დიიშურეს! მკითხველი ამას არ დაიჯერებს, მაგრამ ზემოდ რომ მოვახსენეთ, ის ეხლა გაიხსენეთ და გამამართლებთ.

გამოჩნდება ოთხი მღვდელი—დეპუტატი, რომლებიც შედიან მასწავლებლების გაჭირვებულ მდგომარეობაში, და ამოიღებენ ხმას მათდა სასარგებლოდ აქ წამოდგება ახალ-გაზდა მღვდელი, ტფილისის სემინარიის სტუდენტი, ყოფილა ამავე გორის უმცროს მოსამზადებელ კლასის მასწავლებლად, რომელიც გაიქცა ჯამაგირის სიმცირისა გამო, რომელსაც არა ერთხელ უთქვამს ჩივილი ჯამაგირის სიმცირეზე. ეს ბატონი გახლდათ მ. მახ.....ძე, ვაყის მღვდელი, რომელზედაც ს. ვაყიდგან არ არის დიდი ხანი „დროებაში“ იყო კორრესპონდენცია მის გულ-კეთილობაზე, მის გლეხების შევიწროვებაზე.

ბატონი მახ....ძე გადაიბირავ დეპუტატებს და არა ვითარ თხოვნას არ შეიწყნარებენ. ყველა უარზეა, ყველა ყვირის: „არ იქნება, არ შეგვიძლიან“!—ექვსი შაურის შეძლება არა აქვთ, ექვსი შაურისა!!

რაზედ დააფუძნა მახ.....ძემ თავისი უარი, რის ძალით, რა საბუთით ათქმევინა უარი? არა ფერზე. არა ფერი საბუთი არ მიუღიათ სახეში: არც მასწავლებლის სიკარგე და შრომა, არც საგნის სიძნელე, არც დროება-ვითარებანი.

ჯანი გავარდეს არ მოუმატეს, არ

დაწერილნი სხვა-და-სხვა დროს და მონასტრებში, ეკკლესიებში და ოჯახებში გაფანტულნი.

ეს აქა-იქ მიწეწილ-მოწეწილი აღწერანი ქართველთა წმიდათა ცხოვრებისა 1724 წელს შეჰკრიბა ერთად საქართველოს კათალიკოზმა ბესარიონმა და ერთ წიგნად გადაწერა. ამის შემდეგ, 1744 წელს განიხილა ეს წიგნი, შეჰკრიბა სხვა ხელთ ნაწერებიც და შეადგინა ერთი დიდი ხელთ-ნაწერი წიგნი კათალიკოზმა ანტონ 1-მა, რომელსაც სახელად დაარქვა „მარტირიკა" ანუ „წმიდათა ცხოვრების აღწერა".

1801 წლამდე ჩვენთა წინაპართა შეუმზადეს შთამამავლობას სამოქალაქო და საეკკლესიო ისტორიის მასალა; მაგრამ საუბედუროდ მე-XIX საუკუნის ქართველობამ ვერ ისარგებლა იმათ ნაღვაწით. მოისპო თუ არა საქართველოში მეფობა, ჩვენს მამა-პაპის ნაღვაწს გაუჩნდნენ სხვა-და-სხვა პატრონნი. ხელთ-ნაწერი წიგნები, სხვა-და-სხვა ისტორიული რვეულნი, ძვირ-ფასი სამკაულნი და ნივთნი დაიტაცეს სხვა-და-სხვა პირთა. სად გინდა, რომ ახლა არ იპოებოდეს ქართული ხელთ-ნაწერი რვეულები? მაგრამ თვით საქართველოში კი აღარა არის-რა შესანიშნავი.

ამ ქვეყნის პირზე მოფენილს ხელთ-ნაწერებს მოძებნა და შეკრება დაჰსჭირდა ქართველთ. ეს დიდ საქები შრომა მიიღო თავის-თავზე ბ. მიხეილ საბინინმა. მან მოიარა ამ განზრახვით საქართველოს მონასტრები და შესანიშნავი ეკკლესიები; მაგრამ მათში ბევრი ვერა იშოვნა რა. ამისათვის მან მიჰმართა უცხო ქვეყნებს, გადაშინჯა წიგნთ-საცავნი. მოსკოვში რუმიანცევისა, პეტერბურღში იმპერატორის სამეცნიერო აკადემიისა, პარიჟში აღმოსავლეთის სამეცნიერო აკადემიისა, რუსეთში ბატონიშვილების წიგნთ-საცავნი და სხვ.

„ამ საწიგნობელთა შინა, ამბობს ის, ვჰპოვე ხელ-ნაწერნი კათალიკოზისა იყალთოელისა, კათალიკოზისა ვასილისა, ბესარიონისა, ანტონ პირველისა და სხვათა."—ეს საქმე მას შეუსრულებია შვიდ წლის განმავლობაში და დიდი ჯაფა წვალება და დაბრკოლება გამოუვლია მათს ძებნაში და შეკრებაში.

ამ ხსენებულ წიგნთ-საცავებში მყოფ წიგნთაგან იმას ამოუღია ხელთ-ნაწერები შეუცვლელად და დაუბეჭდავს ერთ წიგნად ქორონიკონის რიგზე. სულ არის დაბეჭდილი შიგან 50 ხელთ-ნაწერი, რომელნიც არასოდეს ჯერ აქამდე არ ყოფილან დასტამბულნი, და თითქმის ამდენიც წმიდათა სურათები. წიგნი შეიცავს 639 გვერდს და სიდიდით არის ორი სახარებასოდენი. ამოდენა წიგნის გამოცემაზე ბ. საბინინს ისეთი ბეჯითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლულოდ არის დასტამბული. სხვა არა იყოს რა, მარტო მისი გარეგანი შეხედულობის ხილვა მეტისმეტად სასიამოვნოა. ჭეშმარიტად, რომ ის დიდს ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურისას.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

(დასასრული ხვალ)

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს. ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ინგლისის

## მაღაზია

(*Maison de confiance*)

შეკერილთ ნეკნი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაიხ—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალეშები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—10)

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც.

(20—3)

წელს გიმნაზიაში კურს შესრულებულმა ქალმა, სალომე ნასიძისამ გახსნა, სამოსწავლო მზრუნველის ნებართვით:

ავლაბარში საქალებო სკოლა და მოსამზადებელი კლასები, ლაზარევის ქუჩაზედ, ნიკოლაევის სკოლის ზევით, სახლი № 53.

(5—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის საერთო მფლობელობაზე

თხზულება ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი


მოუმატეს! ამას გასცდნენ, ქართული ენის მასწავლებელს აქვს ნორმალურ კლასებში რვა გაკვეთილი; ამ რვა გაკვეთილში სამღვდელოება აძლევს,—რამდენს გგონიათ? — თექვსმეტს თუმანს. წარმოიდგინეთ, რას ამბობს მახ.....ძე: რად უნდა ეს ჯამაგირი ქართულის ენის მასწავლებელს, იმას სხვა საგნის ჯამაგირიც ეყოფა, ის იღებს კიდევ 39 მანეთს. ეს ქართულად ასე ითარგმნების: რად გვინდა ქართული ენა, ის მოვსპოთ და რასაც იმაში ვაძლევთ ის დაუნიშნოთ მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს. რას ემართლებიან ქართულს ენას ან მის მასწავლებელს, რომ ამტკიცებდეს: სამშობლო ენა საჭირო არ არის, ჩვენ კი ჯამაგირს არ მივცემთ და როგორც უნდათ ისრე მოიქცნენ. სადა ხართ? რომელ დროში და ქვეყანაში ხართ? სად სცხოვრობთ? ძუძუ მწოვარი, უსუსური ბავშვი არ იტყვის ამას; ბავშვიც კი გრძნობს ეხლა: ვინ არის, სადაურია, რას უნდა ელტოდეს; იმან იცის, რომ ქართველია და მას ყოველივე ქართული უნდა.

როცა ქართული ენა შემოიღეს სასულიერო სასწავლებელში ქ. გორში, ამ ენას უსასყიდლოდ ასწავლიდნენ ჯერ ბ. ზარაფოვი, რომელიც ეხლა თელავშია, მერე ს. მგალობლიშვილი, რომელიც ეხლაც ასწავლის; ამ უკანასკნელის დროს ჯამაგირი დაინიშნა, როგორც ვსთქვით, თექვსმეტი თუმანი. ორ წლამდინ ამანაც ასწავლა უსასყიდლოდ; ბოლოს, როგორც იყო, დაინიშნა ჯამაგირი, როგორც ატყობთ, ისეთი მცირე, რომ რიგიან სტოროჟს ვერ დაიქირავებთ. სასწავლებლის მსახურს, სტოროჟს, თვეში თუმანი აქვს და ქართული ენის მასწავლებელს კი ცამეტი მანეთი; სამი მანეთით მეტი! ესეც ენანებათ, ამის მოსპობაც უნდათ!?

ეხლანდელი მოსამზადებელი კლასის მასწავლებელმა დ. ხახუტოვმა სთხოვა აღრინდელ კრებას, რომ ქართული ენა საკმაო არ არის მოსამზადებელი კლასისთვის (კვირეში სამი გაკვეთილია); სამი გაკვეთილი კიდევ მომიმატეთ, რომ გავხდე რასმე, მოვასწრო რისამე სწავლებაო. კრებამ უარი უთხრა იმ განზრახვით, რომ ჯამაგირს მოგვთხოვსო. ხახუტოვი ეუბნება: ბატონო, თქვენი არა მინდარა, არსებით საჭიროებას შეადგენს ქართული ენის გაკვეთილების მომატება.—არა, შეადგნენ უარს. აქაც მახ.....ძემ და მგალ.....ვმა იჩინეს თავი.

მახ.....ძემ ეჭვი გამოაცხადა ფულების შესახებ: სად მიდის ფულიო, დავიჯეროთ ყველა საჭიროებას ხმარდებაო.

ვერ წარმომიდგენია, რა აქვთ სახეში გორის მაზრის სამღვდელოებას? რომელ ენაზე უნდა ასწავლონ შვილებს, ოც თუმნიანი რიგიანი მასწავლებლები სად უნდა იშოვონ?

დასასრულ, დავასახელებ, მსხვილის ასოებით ჩავწერ სახელსა და გვარს იმ დეპუტატები—მღვდლებისას, რომლებმაც იჩინეს თავი ქართული ენის შესახებ და მასწავლებლების შრომის და ღირსების დაუფასებლობაზე, ჩავწერ, რომ—აი ესენი გახლავან ვარსკვლავები ჩვენის სამღვდელოებისა; ესენი გახლავან შესანიშნავნი ყოვლის ფრით და სიმდიდრითაც, ასა გაშინჯეთ.

მეჰ, რას ვჩივი დას ვწუწუნებ? შოთამ სთქვა:

„კოკასა შიგან რაცა სდგას
იგივე წარმოსდინდების".

მივაქცევ ტფილისის ეპარქიალური კრების ყურადღებას ზემო-მოხსენებულ პირებზე, რომლებიც ეპარქიალური კრების დეპუტატადაც არიან დანიშნულნი. ესენი აქაც დაიწყობენ შესაფერს მათის ღირსებისა გაასს, აქაც მოუცარამენ კეთილ საქმეს ხელს, და იმედი გვაქვს, რომ მათი წინადადებეები არ იქმნენ მიღებულნი.

სამღვდელოების მოკეთე.

**ОБЪ ИЗДАНІИ**

въ 1883 году

Въ г. Тифлисѣ

еженедѣльнаго юридическаго журнала

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(*годъ третій*)

*Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ,* въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ,* вытекающимъ *изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе* важнѣйшихъ *разпоряженій и узаконеній правительства,* краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) *о выдающихся судебныхъ дѣлахъ,* особенно интересныя *гражданскія рѣшенія,* случаи изъ судебной жизни и практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника,* перечень *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній:* Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, *судебный указатель* и пр.

*Редакція* журнала—Тифлисъ, Давидовская ул. д. Кананова.

*Администрація* (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

*Подписная цѣна на журналъ,* съ доставкою и пересылкою, *на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.,*

*Разсрочки въ платежѣ* денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: *при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяцъ еще 3 р.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія,* казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ* и *С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Редакторъ А. В. *Степановъ.*

Издатель А. С. *Френкель.*
(Присяжный Повѣренный)

(6—2)



ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

# ისტორია

შედგენილი რომან პანცხავასაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.



ბეკკერის თეატრი

გუნიბის მოედანზედ.

ხუთშაბათს 25 ნოემბერს

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩაღებით.

არა ჩვეულებრივი, საოცნებო და თვალთ-მაქცური

# საღამო



პირველად იქნება წარმოდგენილი, სხვათა შორის:

დაანდამანტება ორი ქალისა საზოგადოებიდგან, ვინც მოიწადინებს.

დიდი ცოცხალი სურათი ღმერთების ოლიმპი

დადგმული ბ. ბეკკერისგან

მონაწილეობას მიიღებს ქ. ანიტა და 12 ქალი ბატ. ბეკკერის ტრუპიდგან.

ადგილების ფასი: ლოჟები ლიტერნი, ბელ-ეტაჟი და ბენუარი (6 კაცის ადგილი) 6 მ ნ. და დანარჩენი 5 მან. 1 წყება 2 მ. 50 კ, 2 და 3—2 მ.. 4, 5 და 6—1 50 კ, 7, 8 და 9—1 მ. 25 კ., 10—15—1 მან.; ბალკონის 1 ადგილი 1 მ. და დანარჩენისა 75 კ.; ამფითეატრი 60 კ.: გალერეია 30 კ

დაიწყება 7 ½ საათზე.

შაბათს 27 ნოემბ. ბავშვებისთვის სადილო ნაკლებ ფასით.



ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი **ი. გოგებაშვილისაგან,** დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. მასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაუთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.



დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესი ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.



დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სოფხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ალაავრცის

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი



დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.



ახალი ქართული კალენდარი

# კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.


ტაქსის

საკვებთა ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დაქარებით 15 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 ½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 ½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 ½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 ½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4 ½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |


ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(100—11)



# ყორხმაზის ქარვასლისაგან

უცხადებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ყორხმაზის ქარვასლაში, რომელიც დღეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, გამართულია სხვა ქალაქებიდამ მოსულ ვაჭრებისათვის ცალკე ნომრები და სადგომი ოთახები, რომელსაც ახლა უფრო იაფ ფასად ვაქირავებთ, ვიდრე ადრე იყო. მველი ფასები იყო: ღამის გასათევი—10 კაპ. ახლა 5 კაპ. გავხადეთ; ცალის შესაკრავი მუშის ქირა ადრე იყო ხუთი შაური, ახლა აბაზია და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ გავაფრთხილოთ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩვენი მუშტრები, რომ მოერიდნონ ადრინდელ ჩვენგან დათხოვნილ არენდატორს, რომელიც თითქმის ძალით იტყუილებს მუშტარს თავის ქარვასლაში: შუაღამის პოეზდის მოსვლის დროს მუშებს აყენებს სიონის წინ, პოეზდიდამ მომავალ ფაეტონებს აჩერებენ და ამნაირად ძალა-უნებურად მიჰყავთ მუშტარი სხვა ქარვასლაში. ზოგნი ამათგანი კი მეორე დღეს ისევ ჩვენს ქარვასლაში გადმოდიან.

ჩვენვე ვკისრულობთ კომისიონერების მოადგილეობას. ჩვენს ქარვასლაში შეკრულს თითო ცალზე ვიღებთ 20 კაპ. ყოველს ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ე. ი. დროგისა, მარკისა, მუშისა და სხვ. თუ რამე ნაკლულევანება აღმოჩნდება, პასუხის-მგებელი ჩვენ ვიქნებით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ შემდეგში ჩვენ გვსურს გავამშვენიეროთ და შევაკეთოთ ჩვენი ქარვასლა, ასე რომ მუშტარს ყოველი შეღავათი და საშუალება მივცეთ თვის საქმის კარგად და საჩქაროთ წარმოებისათვის.

ძმანი იაგორ და ონანა ჰარუნ **სარქისოვები**

(10—6)